J 731

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირინე ალექსანდრეს ასული შიშინაშვილი

შექსპირის რეცეფცია ახალგაზრდა გოეთეს დრამატურგიაში

10.01.05 ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

შემოსულია № 37
„29" 10 2001 წ.

თბილისი
2001

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირინე ალექსანდრეს ასული შიშინაშვილი

შექსპირის რეცეფცია ახალგაზრდა გოეთეს დრამატურგიაში

-1833-

10.01.05 ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2001

ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ნანული კაკაურიძე**

ოფიციალური ოპონენტები:
1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **დალი ფანჯიკიძე** 10.01.05
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
პროფესორი **ზურაბ ჩხენკელი** 10.01.05

დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წლის 16 ნოემბერს 16 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს (P 10.05. N4) სხდომაზე. მისამართი: 380028 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №36

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მისამართი: 380028 თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2001 წლის 15 ოქტომბერს

[illegible]

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი: (რ. ციხითათრიშვილი)

ნაშრომის ზოგადი დასახიათება

შექსპირის „აღმოჩენას“ მე-18 საუკუნის გერმანული ლიტერატურისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო „გერმანული სულის“ შეხვედრა დიდ ინგლისელ დრამატურგთან. მან უდიდესი გავლენა მოახდინა ამ პერიოდის ყველა მნიშვნელოვან მწერალზე და, ფაქტობრივად, განსაზღვრა გერმანული ლიტერატურის განვითარების საერთო ხაზი.

სრულიად განსაკუთრებულია შექსპირის შემოქმედების მნიშვნელობა მე-18 საუკუნის 70-იან წლებში წარმოშობილი „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურისათვის. მან არსებითი როლი შეასრულა ამ ლიტერატურული მიმდინარეობის ესთეტიკური თეორიის ფორმირების საქმეში. შტურმერები თითქოს ხელახლა აღმოაჩენენ შექსპირს, მის თავისუფალ შემოქმედებით ძალას, ვნებათა სიმძაფრეს, სამყაროს ასახვის ბუნებრიობას, ტოტალურობას და მას, ფაქტობრივად, მთელი ლიტერატურული მიმდინარეობის დროშად აქცევენ.

გოეთეს მიერ შექსპირის შემოქმედების გააზრების შედეგად ჩამოყალიბებული ესთეტიკური კატეგორიები შეესაბამებოდა ახალი გერმანული ლიტერატურის შექმნის ამოცანას, რაც სრულიად ნათლად გამოჩნდა ახალგაზრდა გოეთეს შემოქმედებაში. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ შექსპირის შემოქმედების მნიშვნელობა მისი ახალგაზრდული პერიოდის დრამატურგიისათვის.

ახალგაზრდა გოეთეს დრამატურგიაში შექსპირის რეცეფციის შესახებ შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ შრომათა უმრავლესობაში ძირითადად განიხილება „გოეც ფონ ბერლიჰინგენი“, როგორც შექსპირული დრამა. ყურადღების მიღმა რჩება ამ პერიოდში შექმნილი დრამატული ფრაგმენტები, ფასხტნახთშპილები, ფარსები, სატირები, ზინგშპილები, რომლებიც გოეთეს ახალგაზრდული პერიოდის შემოქმედების ერთიან, დინამიურ ხაზს ქმნიან. ამასთანავე სამეცნიერო შრომათა უდიდესი ნაწილი ნაკლებად ითვალისწინებს გოეთეს თეორიული შრომების მნიშვნელობას მისი დრამატურგიული პრაქტიკის ანალიზისას. ამ თეორიულ შრომებში კი, ისევე. როგორც მის შტურმერული პერიოდის დრამატურგიაში, შექსპირის შემოქმედების გააზრების საფუძველზე აშკარად გამოიკვეთება სრულიად ახალი ესთეტიკური პოსტულატები, რომელთა ტრანსფორმაცია შემდგომ ახალგაზრდა გოეთეს დრამატურგიაში ხდება.

აქედან გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომის <u>სამეცნიერო სიახლე</u> ისაა, რომ მასში წარმოვადგენთ ახალგაზრდა გოეთეს მიერ შექსპირის შემოქმედების ინტერპრეტაციის ფართო და სრულყოფილ სურათს შტურმე-